N 04/923
08.12.2023

ბრძანება

923-01-4-202312081533

გადაწყვეტილება

2023 წლის 18 ოქტომბრის N01/3541 საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

1.1. მომჩივანის პოზიცია

2023 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შპს „ბელლა ვეტრინეს“ (ს/ნ: 405297352) საჩივარი (სააგენტოში რეგ. N01/3464), რომელიც ეხებოდა მომჩივანის კონკურენტი ეკონომიკური აგენტის („ვერონა“) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) შესაძლო დარღვევის ფაქტს.

საჩივრის ფორმალური დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე, 2023 წლის 17 ოქტომბერს მომჩივან შპს „ბელლა ვეტრინეს“ სააგენტოს N02/2799 წერილით „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე” სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - „პროცედურა“) შესაბამისად განემარტა, რომ სააგენტოში კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე საჩივარი წარმოდგენილი უნდა იყოს პროცედურის დანართი N1-ის შესაბამისად. ვინაიდან შპს „ბელლა ვეტრინეს“ საჩივარი არ ყოფილა წარმოდგენილი კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, მომჩივანს დაუდგინდა ხარვეზი და ეთხოვა შესაბამისი ფორმის დაცვით საჩივრის წარმოდგენა.

2023 წლის 18 ოქტომბერს შპს „ბელლა ვეტრინემ“ სააგენტოში წარმოადგინა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე შესაბამისი ფორმით შევსებული საჩივარი (სააგენტოში რეგ. N01/3541).

საჩივარში მომჩივანი მიუთითებს, რომ მისი საქმიანობა დაკავშირებულია ავეჯის რეალიზაციის სფეროსთან და კონკურენტი ეკონომიკური აგენტის, ვერონას ქმედება ზიანს აყენებს როგორც თავად მომჩივანს, ასევე, მომხმარებლებს. კერძოდ, მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა სოციალურ ქსელში (Instagram-ის ოფიციალურ ვებგვერდზე) გამოაქვეყნა ავეჯის მწარმოებელი ბრენდული კომპანიების იმ პროდუქციის ფოტო-

მასალა, რომელთა რეალიზაციის უფლებაც ექსკლუზიურად მომჩივან შპს „ბელლა ვეტრინეს“ აქვს მიღებული აღნიშნული კომპანიებისგან. მომჩივანი აცხადებს, რომ მოპასუხე ზიანს აყენებს მას, ულახავს მათ საქმიან რეპუტაციას და შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი.

მომჩივანის თქმით, მოპასუხის ქმედებით მიყენებული ზიანის ზუსტი ოდენობა განსაზღვრული არ აქვს. როგორც აღინიშნა, ავეჯის მწარმოებელ ბრენდულ კომპანიებთან არსებული ურთიერთობის საფუძველზე მხოლოდ მას გააჩნია ამ ავეჯის რეალიზაციის უფლება, თუმცა მოპასუხეც ახორციელებს იმავე ავეჯის (რომელიც არ არის ორიგინალი) რეალიზაციას და მოპასუხის უხარისხო პროდუქციით მომხმარებელთა უკმაყოფილება პირდაპირ აისახება შემდგომში მომჩივანის საქმიანობაზეც.

საჩივარში მითითებულია, რომ შპს „ბელლა ვეტრინე“ ზემოთ აღნიშნულ ფაქტის თაობაზე დაუკავშირდა ბრენდის წარმომადგენლებს, რომელთაც, თავის მხრივ, კომუნიკაცია ჰქონდათ მოპასუხესთან, რის შემდეგაც მოპასუხემ სოციალურ ქსელ Instagram-ზე განთავსებული ფოტო-მასალის უდიდესი ნაწილი წაშალა (დარჩენილია მხოლოდ ერთი ფოტო).

საჩივარზე მომჩივანზე მტკიცებულების სახით დართული აქვს მოპასუხის Instagram გვერდზე განთავსებული პოსტების ე.წ. სქრინშოთები და ასევე, ერთ-ერთი ბრენდისა და შპს „ბელლა ვეტრინეს“ წარმომადგენლებს შორის განხორციელებული მიმოწერის ამსახველი დოკუმენტი (მოპასუხის ქმედების შესახებ შეტყობინება).

მომჩივანი საჩივარში დამატებით უთითებს, რომ მის მიერ საჩივრის წარდგენა მიზნად ისახავს სამომავლოდ დარღვევის პრევენციას.

1.2. მოპასუხის პოზიცია საჩივარში დასმულ საკითხთან დაკავშირებით

შპს „ბელლა ვეტრინეს“ მიერ საჩივარში მოპასუხედ მითითებული იყო ავეჯის რეალიზატორი მაღაზია „ვერონა“, საიდენტიფიკაციო ნომრის მითითების გარეშე. სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის სრული მონაცემები საჩივარში მითითებული სხვა ინფორმაციის გამოყენებით და მომჩივანის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი N01/3541 საჩივარი, ვინაიდან იგი აკმაყოფილებდა ფორმალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებს, სააგენტოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N02/2850 წერილით გაგზავნილ იქნა მოპასუხე შპს „ვერონასთვის“ (ს/ნ: 401979187) საჩივარში დასმულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის წარმოდგენის მიზნით. აღნიშნულის თაობაზე, ასევე, ეცნობა მომჩივან მხარესაც[1].

[1] სააგენტოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N02/2848 წერილი

მოპასუხე შპს „ვერონამ“ 2023 წლის 17 ნოემბერს სააგენტოში წერილობით წარმოადგინა საკუთარი მოსაზრებები საჩივარზე (წერილის რეგ. N01/3902), რომლითაც უარყო მის მიერ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი.

მოპასუხის განცხადებით, იგი წარმოადგენს ავეჯის საცალო რეალიზატორს, რომელიც საქართველოში ახორციელებს პრემიუმ კლასის ავეჯის, განათების, სამზარეულოს ტექნიკის, ხალიჩების, აქსესუარების იმპორტს და რეალიზაციას. იგი თანამშრომლობს ავეჯის სხვადასხვა მწარმოებელთან და მაღაზიაში წარმოდგენილი აქვს არაერთი ცნობილი ბრენდის ავეჯი, ასევე, კონკრეტულად ვერონას ბრენდისთვის დამზადებული ავეჯი. შესაბამისად, მის მიერ არ ხდება ისეთი პროდუქტის რეალიზება, რომელიც არ არის ორიგინალი. მოპასუხე აღნიშნავს, რომ იგი არ თანამშრომლობს და არც უთანამშრომლია ისეთ კომპანიებთან, რომელიც ორიგინალ პროდუქციას არ აწარმოებს.

მომჩივანის მიერ საჩივარში მითითებულ კონკრეტული ბრენდების პროდუქციასთან დაკავშირებით მოპასუხე აღნიშნავს, რომ სავაჭრო ურთიერთობები ზოგადად იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთი ბრენდის პროდუქტი სხვადასხვა გზით (პირდაპირ ან შუამავლის დახმარებით) იქნეს შეძენილი და შპს „ვერონას“ საქმიანი ურთიერთობები აქვს როგორც უშუალოდ ავეჯის მწარმოებლებთან, ასევე, მესამე პირებთანაც, რომლებისგანაც ყიდულობს ამა თუ იმ ბრენდის მიერ წარმოებულ პროდუქტს.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. კონკურენციის კანონმდებლობის მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.“

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) პირველი მუხლით კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

კანონის 11^3 მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. ხოლო არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური

აგენტის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისკენ მოწოდება.

2.2. კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით სააგენტოს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს მომჩივანს ან/და მოპასუხეს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარმოდგენა ან ახსნა-განმარტებაზე გამოცხადება. ხოლო მე-10 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ინფორმაცია ითვლება მიწოდებულად, თუ იგი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სრულყოფილად იქნა წარდგენილი სააგენტოს იურიდიულ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

პროცედურის მე-11 მუხლი ადგენს, რომ ინფორმაციის მიუწოდებლობად ითვლება: ა) ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა; ბ) არასწორი ინფორმაციის მიწოდება; გ) მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად მიწოდება. ხოლო ამავე პროცედურის მე-12 მუხლი ითვალისწინებს ინფორმაციის მიუწოდებლობის შედეგებს.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ ვადაში (30 სამუშაო დღე, რომელიც შესაძლებელია გახანგრძლივდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით) სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტში, ხოლო საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33[2] მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის მოქმედების სფერო

სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან.

ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

საჩივრის ავტორი საჩივარში მიუთითებს კანონის 11^3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა:

ა) კანონის მე-11^3 მუხლის მეორე პუნქტის პირველი წინადადებით დადგენილი წინაპირობების კუმულატიურად არსებობა;

ბ) გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილება.

ა) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში - კანონი) 11^3 მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. ამავდროულად, მუხლი განსაზღვრავს ქმედებების კონკრეტულ შემადგენლობებს. შესაბამისად, კანონის 11^3 მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისათვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

1. ქმედება
2. ქმედების საქმიანი ეთიკის ნორმების საწინააღმდეგო ხასიათი;
3. ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;
4. ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს.

ქმედება - ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

წინააღმდეგობა საქმიანი ეთიკის ნორმებთან - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც, ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვა[2].

კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ინტერესების შელახვა - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შელახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

მომხმარებელთა ინტერესების შელახვა - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას.

ბ) როგორც ზემოთ აღინიშნა, სააგენტო საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე ამოწმებს არსებობს თუ არა საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი

---

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე Nას-1184-1145-2016, 17.02.2017.

სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. შესაბამისად, საქმის მოკვლევის დაწყების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გონივრული ეჭვის სამართლებრივი სტანდარტის დაკმაყოფილება.

3.2. სააგენტოს შეფასება

კანონის 11^3 მუხლის საფუძველზე სავარაუდო არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტზე მოკვლევის დაწყების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გონივრული ეჭვის სამართლებრივი სტანდარტის დაკმაყოფილება. ყოველი კონკრეტული საჩივრის შემთხვევაში საქმის მოკვლევის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ამ სტანდარტს.

შპს „ბელლა ვეტრინეს“ საჩივარში საუბარია მოპასუხის მიერ კანონის 11^3 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტზე, კერძოდ, საჩივრის ავტორი საჩივარში მიუთითებს, რომ მოპასუხე ახორციელებს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, რაც გამოიხატება მოპასუხის მართვაში/მფლობელობაში არსებულ სოციალურ ქსელში ავეჯის მწარმოებელი ბრენდული კომპანიების იმ პროდუქტის ფოტო-მასალის განთავსებაში, რომლის რეალიზაციის უფლებაც ექსკლუზიურად აქვს გადაცემული მომჩივანს. მომჩივანის განცხადებით, აღნიშნული ქმედებით მოპასუხეს შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი და ულახავს რეპუტაციას მომჩივანს. კერძოდ, მომჩივანი შპს „ბელლა ვეტრინეს“ განმარტებით, მოპასუხის მიერ რეალიზებული პროდუქცია არ არის ორიგინალი, რის გამოც მომხმარებელთა უკმაყოფილება გაიზრდება და ეს პირდაპირ აისახება მომჩივანის რეპუტაციაზე.

ამასთან, საჩივარში მითითებულია კანონის 11^3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომელიც გულისხმობს კონკურენტის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისებას.

საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, ისევე, როგორც თანდართული სახით წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იძლევა იმის საშუალებას, დადგინდეს მოპასუხის მხრიდან მომჩივანის გარეგნული იერსახის მითვისების ფაქტი. ასევე, ვერ ხდება საჩივრის ავტორის რეპუტაციის შელახვის შესაძლო ფაქტის დადასტურება, ვინაიდან მომჩივანი არ უთითებს რაიმე კონკრეტულ გარემოებას, რაც აღნიშნულს დაადასტურებს.

მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია მომჩივანისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი.

მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ პროცედურის მეორე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, **სააგენტოში საჩივარს წარადგენს მომჩივანი, რომელიც ითვლება მხარედ და კონკურენციის მოქმედი კანონმდებლობით მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მომჩივანი ვალდებულია საჩივარში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები**, რაც მოცემულ შემთხვევაში არ განხორციელებულა მომჩივანის მიერ საჩივრის წარდგენისას.

გამომდინარე იქიდან, რომ მომჩივანის მიერ მითითებული ფაქტები და საჩივართან ერთად წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ ხერხდებოდა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის დადგენა, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია მომჩივანისგან დამატებით ინფორმაციის გამოთხოვა. შესაბამისად, საქმის გარემოებების დაზუსტების/დადგენის მიზნით საჩივრის ავტორს მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ეთხოვა სააგენტოსთვის დამატებით წარმოედგინა მტკიცებულებები საჩივარში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად[3] და ინფორმაციის/მტკიცებულების წარმოდგენისთვის განესაზღვრა ვადა - 5 (ხუთი) სამუშაო დღის ოდენობით. სააგენტოს აღნიშნული წერილი მომჩივანს ჩაბარდა 2023 წლის 22 ნოემბერს. შესაბამისად, მას მოთხოვნილი ინფორმაცია/მტკიცებულება უნდა წარმოედგინა 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, თუმცა სააგენტოს დადგენილ ვადაში (არც მის შემდგომ, გადაწყვეტილების მიღების დღემდე (08.12.2023)) მომჩივანისგან არ მიუღია არანაირი საპასუხო წერილი და ზემოთ **აღნიშნულ ვადაში მომჩივანს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია რაიმე სახის ინფორმაცია/მტკიცებულებები.**

პროცედურის მე-11 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად და **საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივანს სააგენტოს N02/2848 წერილით არა მარტო ეცნობა მოპასუხისთვის საჩივრის გადაგზავნის შესახებ, არამედ, განემარტა, მომჩივანის მტკიცების ტვირთის შესახებ და ეცნობა, რომ მას, როგორც საჩივრის წარმომდგენ მხარეს, სააგენტოსთვის უნდა მოეწოდებინა მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ თვლიდა კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის დასადასტურებლად. აქედან გამომდინარე, მომჩივანისთვის ცნობილი იყო, რომ საჩივარში მითითებული გარემოებების დასაბუთების პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა, თუმცაღა,

[3] სააგენტოს 2023 წლის 20 ნოემბრის N02/3384 წერილი

შპს „ბელლა ვეტრინეს“ მხრიდან სააგენტოსთან კომუნიკაციას/მომართვას ადგილი არ ჰქონია საჩივრის წარმოდგენის შემდგომ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს, როგორც კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მას ეკისრება საჩივრის დასაბუთებულობის ვალდებულება. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივანისა და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზის ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

სააგენტო მიუთითებს, რომ მომჩივანის მიერ საჩივარში მითითებული და მასზე თანდართული მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ ადასტურებს მოპასუხის მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განხორციელების (კონკურენტის იერსახის მითვისება ან რეპუტაციის შელახვისა და მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის) სავარაუდო ფაქტს, შესაბამისად, არ წარმოიშობა გონივრული ეჭვი კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ. ამასთან, სააგენტოს მხრიდან შესაბამისი შესაძლებლობის მიცემის მიუხედავად, მომჩივანმა დადგენილ ვადაში არ წარმოადგინა სააგენტოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა დასაბუთებული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა[4].

გამომდინარე იქიდან, რომ საჩივრის ავტორს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ისეთი სახის ინფორმაცია (არც საჩივრით და არც შემდგომში, დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე), რომლითაც შეეძლო დაეკმაყოფილებინა ის მტკიცების სტანდარტი, რომელიც მას, როგორც მომჩივან მხარეს ეკისრება, სააგენტო არ მიიჩნევს მიზანშეწონილად საქმის მოკვლევის დაწყებას.

[4] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 მაისის №04/113 გადაწყვეტილება („გორის ტაქსების საქმე II”), გვ. 10

4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „ბელლა ვეტრინეს“ (ს/ნ: 405297352) 2023 წლის 18 ოქტომბრის საჩივარი (რეგისტრაციის N01/3541) არ იქნეს დასაშვებად ცნობილი;
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე;
3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს;
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით;
5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესით, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);
6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი